დანართი N1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ხარისხის შიდა უზრუნველყოფა არის სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „თსუ“) პროფესიული განათლების ცენტრში (შემდგომში „ცენტრი“) მიმდინარე სწავლა-სწავლების, ჩატარებული კვლევების, უნივერსიტეტის მესამე მისიის (საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა) და ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასების უწყვეტი პროცესი. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზანია ცენტრში საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და ხარისხის კულტურის გაძლიერება. ხარისხის კულტურა გულისხმობს ცენტრის საქმიანობაში ჩართული თითოეული პირის მიერ პასუხისმგებლობის აღებას მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე. გარდა ამისა, ხარისხის შიდა უზრუნველყოფა გულისხმობს ცენტრის ანგარიშვალდებულებას შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან. შიდა დაინტერესებულ მხარეებთან ანგარიშვალდებულება გამოიხატება ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის გამჭვირვალეობასა და ანგარიშების მომზადებაში; ხოლო გარე დაინტერესებულ მხარეებთან ანგარიშვალდებულება გულისხმობს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილებას საგანამანათლბელო პროგრამებისა და ცენტრის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების და გარე უზრუნველყოფის პროცედურების გავლის გზით.

თსუ-ს ცენტრის საქმიანობის შეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას აკეთებს ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თსუ-ს ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებული მუშაობით.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს ციკლს, რომელიც აერთიანებს; **დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმების და განვითარების (PDCA – plan, do, check, act)** ეტაპებს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ქმნის ერთიან მეთოდოლოგიურ მიდგომას მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის. ამ მოდელის დანერგვა ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში გულისხმობს:

1. სწორ დაგეგმვას

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ყოველი წლის დასაწყისში განსაზღვრავს მთელი წლის განმავლობაში ჩასატარებელ სამუშაოს და ასახავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. გარდა გეგმიური შეფასებისა, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციაა, მოახდინოს კონკრეტული პერიოდისთვის არსებული პრიორიტეტული საკითხების გამოვლენა და განსაზღვროს საჭიროება - რისი/ვისი შეფასებაა ამა თუ იმ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი.

დაგეგმვის ეტაპზე ხდება:

- შემოწმების თანამიმდევრობის განსაზღვრა, შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის განსაზღვრა;
- შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის ადეკვატური შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და შემუშავება;
- შეფასების პროცედურის, შეფასებისა და შედეგების ანალიზის ფორმის შემუშავება, შემფასებლ(ებ)ის კომპეტენციების განსაზღვრა შესაფასებელი ობიექტის შესაბამისად.
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის საქმიანობის თითოეული მიმართულებით (საგანმანათლებლო პროგრამები; პერსონალი და კვლევა; სწავლა-სწავლების პროცესი; სტუდენტური სერვისები და ინფორმირება; ცენტრში არსებული ერთეულების გამართული მუშაობა) შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების აზრის კვლევის ინსტრუმენტები, რაც უზრუნველყოფს ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების მრავალმხრივ შეფასებას და შემდგომ ანალიზს.

2. ეფექტიან განხორციელებას

ეს ეტაპი მოიცავს მთელი რიგი იმ აქტივობების განხორციელებას, რაც განისაზღვრა დაგეგმვის ეტაპზე, შემუშავებული მექანიზმისა და ინსტრუმენტების შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ორგანიზებას უწევს დაინტერესებული მხარეების მობილიზებასა და გეგმის მიხედვით ფუნქციების განაწილებას. ამ პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის გარდა, თავიანთი კომპეტენციების შესაბამისად, ჩართული არიან ცენტრის სხვა პერსონალიც.

3. საფუძვლიან შემოწმებას

ეს პროცესი მოიცავს ცენტრის ძირითადი და დამხმარე პერსონალიდან, პარტნიორი დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებას. შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებით.

4. სწორად განვითარებას/მოქმედებას

PDCA ციკლის ბოლო ეტაპი გულისხმობს მიღებული შედეგების მიზეზების ძიებას, გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. ამავე ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ამზადებს მიღებული შედეგების/მონაცემების ანგარიშს და ზეპირი ან წერილობითი სახით წარუდგენს ჩართულ ან/და დაინტერესებულ მხარეებს.

ხარისხის შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად. სხვადასხვა შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ხდება მყისიერი რეაგირება და აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ჩართული პირები და რესურსები

თსუ პროფესიული განათლების ცენტრში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობს ყველა რგოლი (ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალი, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები), რაც გამოიხატება ცენტრის საქმიანობის სხვადასხვა კომპონენტების სიღრმისეულ შეფასებასა და ანალიზში, რასაც თან სდევს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება აღმოჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ცენტრში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფარავს სწავლისა და სწავლების პროცესს, საზოგადოებრივ მომსახურებას, მენეჯმენტსა და დამხმარე სერვისებს, სასწავლო რესურსებს, ინფრასტრუქტურას, პროგრამის შესაბამის აღჭურვილობას, მასწავლებელთა, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მომსახურების შეფასებას და ა.შ.

თსუ-ს ცენტრი გადაწყვეტილებებს სამომავლო საქმიანობის დაგეგმვისა და ეფექტური მართვისათვის იღებს სწორედ ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, რომლებიც გამოიყენება მთლიანი ინსტიტუციური საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მუშაობის პროცესში, ასევე, ითვალისწინებს ცენტრის SWOT ანალიზის შედეგებს, გარე შეფასების შედეგებს (ავტორიზაცია, აკრედიტაცია, დამოუკიდებელი ექსპერტიზა).

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის რეკომენდაციით, ცენტრი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს სპეციალისტები/ორგანიზაციები კონკრეტული კვლევების ჩასატარებლად.

საგანმანათლებლო პროგრამები

საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და მიზნები პირველ რიგში, საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით ხორციელდება, შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის საქმიანობა მეტწილად განსაზღვრულია პროგრამების ხარისხისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კვლევით. პროგრამების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაფასებლად ცენტრი რეგულარულად იყენებს ხარისხის შიდა და გარე მექნიზმებს, რომელთა საშუალებითაც აფასებს, აკონტროლებს და აუმჯობესებს პროცესებს. შიდა მექანიზმებში მონაწილეობას იღებენ პროფესიული სტუდენტები (შემდგომში „სტუდენტი“), კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და პროგრამაში ჩართული სასწავლო/მოწვეული/დამხმარე პერსონალი. მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარების მიზნით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმები

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შეფასების მიზანია, დადგინდეს რამდენად არის შესაბამისობაში პროგრამა დასახულ მიზნებთან და რამდენად პასუხობს ის სტუდენტებისა და დარგის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. პროგრამების განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმი გულისხმობს ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელების პერიოდულ შეფასებასა და მონიტორინგს, რაც ემსახურება ამავე პროგრამების შემდგომ განვითარებასა და მუდმივ დახვეწა-გაუმჯობესებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმი მოიცავს:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდულ ანალიზს და მონიტორინგს;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებისა და საჭიროებების კვლევა-ანალიზს;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების, პროგრამის დასრულების მაჩვენებლისა და პროგრამიდან გადასვლის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს;
- სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების ეფექტურობის ანალიზსა და შეფასებას.
- საზოგადოებისა და შრომის ბაზრის ცვალებადი საჭიროებების ანალიზს;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მოიცავს პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის: სასწავლო და ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების შეხედულებების სისტემატურ კვლევას, მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს; შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კონკრეტული მოდულის დასრულების შემდგომ სტუდენტები აფასებენ განვლილ სასწავლო კურსს, პროცესს ელექტრონული კითხვარის მეშვეობით, აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, ხოლო პროგრამის დასრულების შემდგომ ხორციელდება მთლიანი პროგრამის მრავალმხრივი შეფასება. ამ პროცესში მონაწილეობენ კურსდამთავრებულები, სასწავლო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, დამსაქმებელი.

გარდა გამოკითხვებისა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს სხვადასხვა მონაცემების მოძიებასა და დამუშავებას, როგორიცაა: პროგრამებზე ჩარიცხვისა და გადინების რაოდენობრივი მონაცემების აღრიცხვა და მონიტორინგი, სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების ანალიზი, აუდიტორიების გამტარუნარიანობისა და მასწავლებელთა კვირეული, წლიური დატვირთვის მაჩვენებლის განსაზღვრა, სწავლის შედეგების გადაბარების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკური

ინფორმაცია და სხვა. აღნიშნული მონაცემები თავს იყრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ მომზადებულ ანგარიშში და ინფორმაცია მიეწოდება ცენტრის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პირებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

შრომის ბაზრის ანალიზი და Benchmarking

ცენტრის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენა გადამწყვეტი ფაქტორია ბაზარზე ორიენტირებული პროგრამების მომზადებისთვის. დამსაქმებელი მონაწილეობს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განხორციელება/განვითარების პროცესში.
პროგრამის შემუშავებამდე ხდება დამსაქმებლის მოლოდინის კვლევა კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით, სადაც ვლინდება ის მთავარი მიმართულებები, ცოდნა და უნარები, რაც სჭირდება დამსაქმებელს კონკურენტუნარიანი კადრის მისაღებად. კვლევის შედეგები გამოიყენება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში. გარდა ამისა, შესაძლებელია, შრომის ბაზრის კვლევა ცენტრის დაკვეთით განახორციელოს დამოუკიდებელმა კვლევითმა კომპანიამ. შედეგები გაითვალისწინება პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესში.
დამსაქმებლის გამოკითხვა ხდება პროგრამის მიმდინარეობის პროცესშიც. ის აფასებს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის კურსდამთავრებულის უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც მის კომპანიაში დასაქმდება. კონკრეტული რეკომენდაციების შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ხდება პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.
გარდა ამისა, დამსაქმებელი პერიოდულად აფასებს პროგრამას, ვინაიდან, ერთი მხრივ, შრომის ბაზრის მოთხოვნები სწრაფად ცვალებადია, მეორე მხრივ, კი პროგრამამ შესაძლოა, განიცადოს მოდიფიცირება სხვადასხვა მიზეზთა გამო. დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევა ცენტრს საშუალებას აძლევს, უკეთ დაგეგმოს მომავალი სასწავლო პროცესი, გაითვალისწინონ საბაზრო მოთხოვნები, შეისწავლონ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა დამოკიდებულება აღნიშნული პროგრამის განვითარების მიმართულებით. გამოკითხვები ტარდება იმ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებთანაც ცენტრს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების, სტაჟირების ან/და შემდგომი დასაქმების მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები.
პროგრამების ნაწილში მნიშვნელოვანია ბენჩმარკინგის პროცესი, რაც მოიცავს ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების კვლევასა და არსებულთან დადარებას, როგორც საქართველოს, ასევე, უცხოური პარტნიორი პსდ-ს ფარგლებში. ბენჩმარკინგი ემსახურება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და პროგრამების ხარისხის შენარჩუნება/განვითარებას.
ბენჩმარკინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებამდე ან/და პროგრამის განხორციელებიდან 3 წელიწადში ერთხელ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გარე შეფასების მექანიზმები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მექანიზმებში იგულისხმება ცენტრის გარედან მიღებული რეკომენდაციები, კერძოდ:

ა) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ინსტიტუციური ავტორიზაციის, გეგმიური/არაგეგმიური მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი/იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები/ გასაუმჯობესებელი მხარეები;

ბ) პროგრამული ავტორიზაციის შედეგად გამოვლენილი/იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები/გასაუმჯობესებელი მხარეები;

გ) ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ გამოვლენილი/იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები / გასაუმჯობესებელი მხარეები;

დ) პრაქტიკის ობიექტების, პოტენციური დამსაქმებლების და სხვა გარე შემფასებლების მიერ გამოვლენილი/იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები/გასაუმჯობესებელი მხარეები.